

ლიტერატურული განცემი

№24(184) 23 დეკემბერი 2016 - 12 იანვარი 2017

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

გიორგი ლობჟანიძე

ჩემი ფანჯრებიდან

პირველი სტუდენტური იმედგაცრუება სტუდენტური ჩასახლებისათვის მისულმა განვიცადე. სტუდენტურის მმართველს რეზო ერქვა, მის კაბინეტთან ჩემნაირების უზარმაზარი რიგი იყო გაჭიმული. ახალგასტუდენტებულები თუ სტუდენტები შედიოდნენ და იქიდან დროებითი ჩანერის ნომრითა და თავ-თავისის ოთახების გასაღებებით გამოიდიოდნენ.

მეც შევედი. ჩემი შესვლა არავის შეუმჩნევია. პირველად ვიგრძენი, როგორი გამჭვირვალე ვიყავი, როცა ყველა მიყურებდა და ვერავინ მხედავდა.

რეზომ რომელიღაც გვერდით მდგომს მიმართა: ვანო, ამ ბიჭს შუამდგომლობა აქვს ფაკულტეტიდან. შენს კორპუსში ცარიელი ოთახი გექნება?!

//—//

ლია სტურუა

ცეკვით რომ არა

მთები... საჩემო რაკურსს ვეღარ ვუკეთებ, ფანჯარაში რომ შემოდიოდნენ, უფრო მესაკუთრული გრძნობა მქონდა მათ მიმართ. რა უფლებით? მიყვარდა. ისე, უფლებები, საზღვრები რა ჩემი საქმეა? ფორმები და კუთხებიც — გეომეტრიაში დადგენილება, ხაზს ვერ ააშვერენ, ხედვის კუთხეს ვერ გაიზრდიან, მთების სამკუთხედს კი მწვერვალი აქვს, მწვერვალს — კრეშჩენდო, დაგიმიზნებს, მოგკლავს, იქვე ალდგომიანად, ათეისტი მშობლების თვალწინ! ვერ დამიმგვანეს, შენ რომ ნეკნით არ წამხმარებოდი, რას ვიზამდი? გეომეტრიას შევიყვარებდი? არც ერთი პეპელა, არც ერთი, თუნდაც, ერბოკვერცხი — სამკუთხედებს კრეშჩენდოს შანსი არ აქვთ, თეორემები ერთმანეთის ყურებით მრავლდებიან, დამტვერვითაც კი არა, როგორც ხეები, ხეები მიყვარს, მთების მერე, იმ კაცის მერე, ერთი ნეკნით რომ დამეხმარა ამის გაგებაში...

/V

მანანა ჩიტიშვილი

ცოდნის თვეში

აცივდა... მალე თოვლიც მოგვივა, დაფარავს ტყებს თეთრი მანდილი, ვინ იცის, იქნებ მეც ფოთოლი ვარ, ნოემბრის თვეში ჩამოვარდნილი.

მითხრეს, რომ წვიმდა თურმე იმ ღამეს და რომ ნისლმა და ქარმა დამხედეს, მე დავიბადე ნოემბრის ცამეტს და ერთი ვარდიც არ დამახვედრეს.

დღეს შემოდგომის მზით დაფერილი, მიმქრალი შუქი ადგას მთა-გორებს და ქარი, როგორც იუველირი, ალვის ოქროვან ფოთლებს აგროვებს.

როს სული ჩემი სიმშვიდეს ჰპოვებს და დამადგება მწუხრი ბატონად, იტყვიან, მისთვის შენირულ პოეტს სამშობლომ როგორ ვერ უპატრონა.

აცივდა... მალე თოვლიც მოგვივა, და ტყეს დაფარავს თეთრი მანდილი, ვინ იცის, იქნებ მეც ფოთოლი ვარ, ნოემბრის თვეში ჩამოვარდნილი.

V

რეზო თაბუკაშვილი

DEAD END

— მოდი, გადმობრუნდი. ამის ამბავი ვიცით, ამისიც ვიცით, — ლოგინში იწვენ და იარებს უთვალიერებდა გოგო ბიჭს, — ქალების გამორმლებიც გაიჩალიჩე, მათთვის არ მეცოდები. მერე რა, რომ ბევრი წელი იყავი უჩემოდ, ფიქრითაც არ უნდა დამშორებოდი... აი, ეს პატარა ვავა რა არის? მომიყევი მის შესახებ, — ბეჭთან მოგრძოდ დასმულ ჭრილობას დაადო თითო გოგომ.

— ჩემო მშვენიერო და გადასარევო, ალალად გითხარი, რომ ამ ხანგრძლივი ხეტიალისას ხანდახან მეკარგებოდი დროებით, და მაშინ... მაგ შემთხვევებზე არ გიყვები... ეს შრამი კი შემდეგნაირად მაჩუქა განგებამ: ევროპიდან გამოქცეული, მარსელის ამბის მერე, ინდოეთში აღმოვჩნდი. დელის ავტოსადგურზე ბოლთას ვცემდი, ჩემს ავტობუსს ველოდებოდი. ცხრა საათი მომიწია ცდა. არ ჰგავდა სადგურს. ქალაქის ცენტრიდან ძალიან შორს, უზარმაზარ, ფართო პროსპექტზე ფარდულები იდგა მიჯრით, სადაც ბილეთი უნდა შეგეძინა და სულ რამდენიმე წუთით ჩამომდგარ, მრავალფერად გაღებილ ავტობუსს ახტომოდი ჭყლეტვაში იდაყვების მოშველიებით.

VIII-IX

მოვიდა შიშველი, სლიპინა, მშვენიერი
და ნაოჭასხმული კაბა გავიდა.
ფორმები ყვირიან, ქსოვილიც რომ მოარგო,
მოცულობა იზნიქება და ხმამალალია
მხოლოდ, ნაოჭები! მხოლოდ, ფარდა!
და სცენის შთაბეჭდილება, თუ ჟეიქმნა,
მორჩია სიმართლე! უფრო სწორედ,
თავშეკავებულ ტვინებს ნარმოსახვა გადაეკეტათ!
ნაოჭები რალას მაღავენ? დედანს?
რამდენად სახიფათოს?

მაგრამ ოჯახური ალბომები აქვე არაა,
სადაც ისევ შიშველია, სლიპინა, მშვენიერი,
ოლონდა, მეხსიერებაში გადასული,
მეხსიერება კი ძალიან არჩევითია...

მარიამ გარება

მთები, ახალდახატულებივით,
მწვანეს აშხეუებენ გარშემო,
ყველაზე მეტი სალებავი თვალებში შემდის,
მაღალი ძაბულის ნათურები ითაშება,
ვისვენებ, ტანი ბრმა და ამყოლია,
მზისგანაც რომ გაიწუნება წითლად,
საერთოდ, იმპულსებზე შედგება
თითისწვერებადან შუბლამდე,
ტვინში უმიზეზო სიხარულები ვერ აღწევენ,
ლოგიკა აკლიათ.
ტვინი, კიდევ, ზურგის თვალებითაც იყურება,
ობიექტურ სინამდვილეს ეყრდნობა,
რომელიც ასეთია:
დამხრჩალი სახლიდან გამოსული
და შავ დიეტაზე მჯდარი,
ფერებს ვუყურებ, ვეხები, ვჭამ
და პირიდან კაშაშის კუდი მიჩნას
და ვცდილობ, გვერდით ხედვაში მაინც
იმდენი ტყუილი ჩავტენო, რომ
სიტყვა „ობიექტურ“ გავაჟქმო.
კი, ორმოდან ამომიყვანეს
და კაშაში მაჩვენეს, სანამ
კოლექტივში დავბრუნდები
და რიგით ნომერს გავიკეთებ,
იმათვისაც უცხო ვარ,
შუაში ვდგავარ და ვუყურებ ჩემს მკვდრებს.
რამდენი ტონა მიხაკი ყოფნით
უმიზეზო სიხარულისთვის?
ყველას თავისი სიმართლე აქვს,
ჩემი ასეთია...
მარიამი მოდის და მარტო ვარ.

ზამთარი, სევდიანი თოვლი,
იმ დოზით სევდიანი,
ლექსში რომ გამოდგება,
მანც არ მიყვარს,
ზამთარში სხვა წვილომანები მაძლებინებს:
უკანონო წვიმა,
ჯილტად მაჟორული ფორთოხალი...
დღე რომ ამოატრიალო,
ისეთი პრიალა სარჩული აქვს,
ხელებს ვერ შეახოცავ
და ორივე მარჯვენა
პირთას შისატანი სიტყბოს გამო...
დღის წალმა მხარემ პენი დაკარგა,
ანუ სტილი, პრიალზე შაქარი
უსტილობაა, უნიჭობა, უდრობა
და დრო თუ არ არსებობს,
სივრცების კონფლიქტს რას უშამ?
მეხსიერების ფონდში შეიტან, სადაც
მზეა, მოვარე, მათი მოქმედი აპრეშუმი?
თითქმის მუზეუმი, თოვლი რომ შეუშევას,
ერთიანი სტიქია და არა ლექსის წვეთოვანი,
ფორთოხლების მაჟორული ზისკენ გადაიხრება
დროში დაკარგულები აქ ხვდებიან ერთმანეთს,
ზაფხულში, ისედაც, ნაკლები მიზეზებია სიკვდილისთვის.

საგურამოს ქუჩა

დუდანას და ირინას

ჩემი პატარა ქუჩა,
ღია ფანჯრებიდან შობენები იყურებიან...
ვიღაც ვერ ხედავს, ვიღაც ჩერდება და ელაპარაკება
რაზე? ალბათ, სამყაროს სევდაზე...
მაშინ რა სევდა მქონდა?
ზამთარში აკაციების სინათლე მაკლდა,
ზაფხულში — თოვლის გუნდების ქვეტექსტი...
მუსიკა სულ იყო, ღია ფანჯრებიდან
როიალებს აღარ ყრიდნენ,
რაც მოყოლით ვიცოდი,
სამაგიეროდ, ახალგაზრდა, ლამაზი ბიძაჩემი
გადასახლეს, მარჯვენა გვერდზე
სატვირთო მატარებელი მიეყინა,
მარცხენაზე — ცოლი,
სრულიად შავ-თეთრები დაბრუნდნენ,



ლიტერატურული გაზეთი

შეილები გააჩინეს, რასაც, რა თქმა უნდა,
მუსიკა ახლავს, ოლონდ, უფრო ისეთი,
როიალი რომ გადმოაგლონ ფანჯრიდან
და მისი პატრონი ემიგრაციაში წავიდეს,
როგორც სხვა სახლში გადადიხარ
და ყოველ ლამე გესმის, ხნიერი მილიციელის
სული როგორ ელაპარაკება შენი კატის სულს,
ან სულაც არსად არ გადადიხარ,
მაგრამ გენანება ეს წინებერი ხაზები,
რითაც სახლები ცას უერთდებოდნენ,
ცა — ეკლესიებს, წაიძალა, დანგრა...
ან შობენს რა უნდა

უაზრო და უსახელო ფანჯრებში?
კონსერვატორია რისოფის არსებობს?
უკვე იმდენი იცი სევდაზე, ქუჩის ყური
კი არ გეყოფიდა, იდანაც შეგამსუბუქებდა,
მაგრამ ქუჩა აღარ არსებობს,
მიმდებარე სტადიონის ტემპერამენტს შემოეჭამა...

მივდივარ, ვწელავ გზას სახლამდე,
ის მარტოა თავისისთვის, მე ჩემთვის,
24 საათიანი ათითაქი ისე ანთია,
რომ წამლებიდან შემადგენელი მცენარეები ჩანან...
ჩემი ფანჯარაც რომ ენთოს,
როგორც მაშინ, როცა აღტაცება შემეძლო!
ლონიერი აღტაცება — ჰიმნი, კაპელა,
სიმფონიური ორკესტრი!
ერთ ნათურას და კარებმი მოყოლილ
მოყვითალო ზოლს კამერული მუსიკაც ყოფნის,
ნახევარ ხმაზე, ჩუმი სიხარული,
რომ სახლში ვიღაცაა და თუ არ არის,
ასეთივე სევდა, სალონური ვარიანტი სასონარკვეთის,
რომელიც მელოდება კბილების კაუნით
და დღისთვის ყველაზე ნამდვილია...

სათავადასავლო ლექსი

გარეთ დღე, მდუღარე,
დეპრესია — ოთახის ტემპერატურის,
ოთახი, ჩემი ასლი, ქსეროქსზე გადადებული.
იყო კი ის მოქმედებითი გეარის ზმნა,
მეტაფორულ ორფეხებზე?
ძალიან სილრმეებში თუ ჩავიხედე,
რა უნდა მივაძებლო თვალებს?
ძლიერი მდედრობითი ალლო?
ყვირილი, რომელიც უმნეოა?
ნამდებელი შეუძლია?
სილუეტი საწოლში, რა მხრები ჰქონდა!
ჯერ ცხელი, საერთო ცეცხლისგან,

მერე თბილი თავის მისაყრდნობად,
მერე იმის წარმოსადგენად,
ბალახი როგორ ამოუვა...
გამიზომეთ მანძილი ბალახიდან მარტოობამდე!

მომიყვანეთ მაგალითები
ჭუადამჯდარი ლიტერატურიდან!
არ გამოვა ჩემი სიმშვიდე!

ჯერ კიდევ დედატების კრუხობას

ცეცხლი ეკიდა, ან როგორ ამარჩია

რძეში გავლებული ბავშვებიდან

ასეთი მუჯუზალი?

როგორ დანახა ჩემზე ათი წლით

უფროსი ბიჭი, ბრინჯაოს მომავლით?

მის ნულოვან წარმოსახვაში როგორ გამოვჩინდით?

სილუეტთან რომ მძინავს,

სოტატურად შესრულებულთან ჩემს საწოლში

(მანც მხატვარია), ეს უკვე მერე,

იმდენად მერე, სიტყვას ველარ მივაწვდენ,

ყვირილი კიდევ უფრო უმნეოა...

პური ჩვენი არსებობის

პური, რომელსაც არ ვჭამდი,
კერძის ქარვას არ ვანელებდი,
ერთხელ დამესიზმრა, უფრო სწორედ, უპურობა:
სახლში არ იყო, მაღაზიაში არ იყო,
იყო ომი, ომი თვითონაც მშიერია;
ბიბლიის ხორცზე დადის, თუ სახარების,
თან უნდა იცოდეს, სად მათეს დააჭიროს ფეხი,
სად ითანეს, ისიც,
ლურსმანი რომ ერთგული ფიცრის,
ლერთი პურზე პასუხისმგებელი,
ფრესკების გაშლი თუ შეჭამე,
ნაწილობრივ, იმაზეც, სიტყვაზე,
ოლონდ, არადაბეჭდილზე
აბა, საიდან აფსეტის შავი ყვავილები?
ლალატი, ტკივილი, ლურსმნიანი ადგილები
ჩემზე, როცა ვკითხულობ,
შეიძლება, კორექტურაც გამეპაროს —
ნერილმანი ტყუილი,

მთავარია, ტექსტი დამიჯერონ!

ომი გათავდება, დაბლებზე პური დაიყრება —

სიმაღლე ლმერთისგან!

მისგანვე: მთა რომ ერთბაშად ამოვარდება

და თუ წვეტიანია, კივის,

მინდვრის ხანგრძლივობას

რეჩიტატივი უფრო უხდება, ნაღვლიანი

რატომ? კითხვის ნიშნები ჩრდილებივითაა

ზაფხულის მზეში, მზე მანც მეტია,

აქედან ვიზუალობ...

იქ უკვდავება იცხოვა

დამხარჯა წუთისოფელმა,
მისაგებელიც მიმაგეს,
ხან მშვილდის ლამბმა მიმტყუნა,
ხან ვერც მე თვითონ ვივარებ.

ცისაც ვიყავ და მიწისაც,
მდურვა არ მქონდა ბედისა,
გული და გონი წაიღო
ტირილმა ვეფხვის დედისა.

წინაპრის სიბრძნე-ანდრეზის
არა ჰამს გადაიწყება,
შურით რომ მარჯვენს მოგჭრიან,
იქ უკვდავება იწყება.

ისეა ქსანზე

იცი, რად ვმალავ ცრემლიან წამნამს
ან რა დარღი მჭირს გულზე იარად?
ისეა ქსანზე,
თითქოსდა ამ წამს
ჯალალ-ედინმა გადაიარა.

ვინ გვწყევლა ასე,
რა ჯადომ გვთარსა,
როგორ დანელდა იმგვარად სისხლი,
რომ აღარც ძალი აღარ ყეფს არსად
და აღარც მამლის ყივილი ისმის.

ვერცვინ მომხდურის მარჯვენა კაფა,
ვერც მტრის ჯაჭვი და ჯავშანი თოფეს,
სად ჰყავს პატრონი შამბმომდგარ საფლავს
ან დაცლილ, უკვე გარდაცლილ სოფელს.

ბნელ სარკმელს ქარი და წვიმა კაწრავს,
კედლებს ველური ასდევს ხვარა...
ისეა ქსანზე,
თითქოსდა ამ წამს
ჯალალ-ედინმა გადაიარა.

ისეთი ენა მასნავლა

მიფრინავს გუნდი წეროთა,
ცა გადახაზეს ერთიან,
ჩემი შემწე და მფარველი
ამ ქვეყნად მარტო ღმერთია.

არა მშურს შაშვის გალობა,
ერთს გაგანდობდი არაკად,
ისეთი ენა მასნავლა,
შენს გულთან მალაპარაკა.

ქარი ნისლების
თეთრ ფთილებს ართავს
და მერთალი შუქი
ადგას აიგნებს,
ვყვებოდი
ათას ტყუილს და მართალს,
ოღონდაც შეწნე
მეთქვა რაიმე.

მზე ჩადის მთებში
იალ-კალით,
ჩუმი ჩურჩული
მესმა წყაროთა...
ან მე რად მელავდა
შენი ტრფიალი,
ან ნეტავი შენ
რა გიხაროდა.

რაც შაშვა მითხოვა

ნამი ციმციმებს ბალაზზე,
თუ ვარსკვლავების შუქია,
რაც შაშვმა მითხოვა ამ დილას,
ჯერ არც არავის უთქვია.

ამოპყვა ცისკრის ნათებას
გალობა მწველი, მგზნებარი,
როგორი ტრფობაც მწყუროდა,
ამიხდა ნაოცნებარი.

ხან შაშვის სტვენა მათრობდა,
ხან ფრთების ტაში მტრედების,
ნეტავი, დღეო, ნათელო,
რამდენჯერ გამითენდები.

ვარ წუთისოფლის სტუმარი,
წუ მათქმევნებ — „წავალო“,
კიდევ რამდენჯერ გიხილავ,
დილის მზევ, ამომავალო.



მანანა ჩიტიშვილი

ნამი ბრწყინავდა ბალაზზე,
იქნებ ვარსკვლავთა შუქია...
რაც შაშვმა მითხოვა ამ დილას,
ჯერ არც არავის უთქვია.

გულწრფელი ცრემლი
ან ბოლო გზაზე
ვინ გაგვაცილებს.

ზედაზნის მთებთან
მთვარე მოგორდა,
სერ-სერ მიცოცავს
ნისლის კუფხალი...
აღარსად
ჩვენი სამეგობრო და
არც ჭეშმარიტი
ჭირისუფალი.

მადლივი ვარ

ხომ მიმაყენეთ რამდენჯერ ლეთას,
არ დამაჯერეთ ამაზე ნაკლებს,
ქმათა ჩემთა და მოყვასთა ჩემთა
მეც აბელივით რამდენჯერ დამკლეს.

მათ ნაჭრევს, მარად მწველს და სიცხიანს,
ვერ კურნავს დრო და დროის დინება,
რადგან მათ სხვებზე უკეთ იციან,
ყველაზე მეტად სად გეტკინება.

ნისლი მიცურავს კლდეების ქიმზე,
წვიმები სისხლის წვეთებს ლოკავენ,
ზურგში ათასი ისარი მიზერს
და ვიცი, კიდევ ბევრჯერ მომკლავენ.

მე კი აი ვდგავარ უხმლოდ, უფაროდ
და თუმც საზუთორო მიქრობს იმედებს,
მადლიერი ვარ, რადგან, უფალო,
კავნის გზისთვის ვერ გამიმეტე.

მაიც ეგათი მიყვარსარ

დილას ცისკარი ანათებს,
ნისლი — ქალწულებრ მთრთოლი,
ზოგჯერ გაზაფხულს მანატრებ,
ზოგჯერ — სიცივეს თოვლის.

შენს ახლოს დავისამანებ
ჩუმი დარდისგან მდნარი,
ხან მზის ამოსვლას მანანებ,
ხანაც — ამოსვლას მთვარის.

მაოცებს ფერი მინდორთა,
ქარი ჭრელ ფარდაგს ბურდავს,
ხან შენთან ყოფნა მინდოდა,
ხანაც სიშორე მსურდა.

ხევთ ნისლი ამოიცოხნეს,
მე აღარც არა მიკვირს,
ხან მომანატრებ სიცოცხლეს,
ხან მომანატრებ სიკვდილს.

ხო ვერც ჩემს ნებას მიმყავხარ,
ცრემლიც მადინე უხვად,
მაინც ეგეთი მიყვარხარ,
ემაგნაირი მსურხარ.

თუ თვებზე
ბინდი ჩამოწვა ბნელი,
მზებ და ნათელმა
თუკი გაგენირეს,
ვის მოერევა

ზოთ — ირმის ჯოგით ნათელი,
შენც თვლემ, კლდევ, ჯანლით მოცულო,
ქარმა ჩამიქრო სანთელი,
ჩამქრალი სანთლით ვლოცულო.
ახლა სხვა გზები გაიქნა,
სულ სხვა შეგხვდება უცები,
ან ის თვალები რა იქნა,
ან ვნებით მთრთოლი ტუჩები.

აქ რომ ტყე იყო, გადახმა,
ქარმა ჩამოხრა ქედები,
დრო მიდის არაგეს გადალმა,
ჩვენ არაგეს აქეთ ვბერდებით.

წვიმს და თანდათან უფრო ამატებს,
რუხი ღრუბელი ფარავს მზიანეთს...
ხანდახან თუ მე დაგალატე,
ზოგჯერ შენ თვითონ დააგვიანე.

მალე ამ მთებსაც ნისლი შებურავს,
გაუფერულდა ქართლის ქედები,
ჩამოიცლიდი და უნებურად
ჩემს თვალებს შენსკენ მოახედებდი.

ყვაოდა არე ყაყაჩის ფერად,
თავს დაგნათოდა ცისკრის ციმციმი,
შენ მიდიოდი და ჩემი მზერა
უკან მოგდევდა ერთგულ კვიცივით.

დრო აცამტვერებს სიყრმის პალატებს,
თუმც ყველა ტკივილს როდი გვიამებს,
ვწუხვარ, რომ ხან მე დაგალატე,
ხანაც შენ თვითონ დააგვიანე.



მანანა ჩიტიშვილი



აქ, ამ ლექსებში დავრჩეათ

როს ბინდის კვართი იხევა,
ცვარს აქმევს სიონ ნელი და
სისხლივით ამოინთხევა
ლექსი მტკივანი ყელიდან.

ამ ცას ვერაფრით გამყარეს,
თუმც დორმ ბევრგვარად მომზილა,
სიკვდილი თუ დააწყნარებს
თვალებს,
შენს გზაზე მომზირალს.

მეცხრე მთის იქით მეგულვი,
სად ეხს ეკვრიან არჩები,
სულისულჩა კიდებულნი
აქ, ამ ლექსებში დავრჩებით.

როს ბინდის კვართი იხევა,
ცვარს რომ შლის სიონ ნელი და
სისხლივით ამოინთხევა
ლექსი მტკივანი ყელიდან.

30ლ, დრო მოვა

ვიცი, დრო მოვა და ისევ გნახავ,
ეს მოლოდინი გულში მიყვავის,
თუმცა შენ ახლა ალბათ სულ სხვა ხარ,
სულ სხვა, ვიდრემდე უნინ იყავი.

ყვავილობს ზეცა თეთრი ფიფქებით,
ამ ცასთან უკვე ისე ახლო ვარ...
მეც, რა თქმა უნდა, ის ვერ ვიქნები,
ის ვერ ვიქნები, ვინც შენ გახსოვარ.

ის დღე ნეტავი რით გაგვაოცებს,
რას გვეტყვის ახალს ქარი მეჭორე,
იმ ვნებით ვეღარც შენ ვერ მაკოცებ,
მეც ძველ სიტყვებს ვერ გაგიმეორებ.

და მაინც მჯერა, რომ ისევ გნახავ,
გულში იმედის ვარდი მიყვავის...
თუმცა შენ ახლა ალბათ სულ სხვა ხარ,
სულ სხვა, ვიდრემდე უნინ იყავი.

ჩემს მეგობარ მცენალ ლეილა მესეს

შენ რომ გგონია, იქ ნუ დამიცდი,
არსად მიგია მთვარის ჭილოფი,
შენ ჩემს შესახებ ან კი რა იცი,
ჩემი დარდის და ჩემი ჭრილობის.

არა მჩვევია მოთქმა და ლიქნი
და მუხლთა დრეკაც მძულდა მარადის,
როგორ მიხვდები, სტრიქონებს იქით
რამდენ ცრემლსა და ტკიფილს ვმალავდი.

ფიქრობ, უნაღვლო ლიმილის ზღვა ვარ,
არ ვიწობ სუსხს და დელგმას სრულებით,
მე კი, გაუვალ შამბნარში მავალს,
ეკლით სავსე მაქვს ფეხისგულები.

ხომ არ გგონია, მკვიდრი ვარ ზღაპრის
ანდა მიუვალ კოშეში ესახლობდი,
შენ ხომ არ იცი, სიკვდილის ნაპირს
უკვე რამდენჯერ მიკუახლოვდი.


არავინ მყავდა ლექსების გარდა
და ყველა ცრემლი გულში ვინახე,
ჩემს ნინ რამდენჯერ დაუშვეს ფარდა,
რამდენჯერ ვითომ ვერ დამინახე.

ყელამდე ეკალ-ბარდი მომყარეს,
ფეხით მადევეს ესკორტს ეტლიანს,
ამ ქვეყნად ერთი თუ გყავს მოყვარე,
ავად მზირალი ასჯერ მეტია.

ვერ შევეგუე ფერებს მრუმე ცის,
ვერ დავთმე მზე და მზეზე ოცნება,
არ გზარავს ლექსის ამდენ უმეცრის
გამრეფება და გადედოფლება.

ისევ იმის მწამს, რისიც მჯეროდა
ჩემი სისხლით და ჩემი ბუნებით
და სიტყვისადმი უდიერობას
ვერც ვერასოდეს შევეგუები.

შენ რომ გგონია, იქ ნუ დამიცდი,
არსად მიგია მთვარის ჭილოფი,
შენ ჩემს შესახებ ან კი რა იცი,
ჩემი დარდის და ჩემი ჭრილობის.



გულის ელეგია

თუ სიყვარული „ვითომ“ არის, სიცოცხლეც — ვითომ —
რა ალილინებს ჩემს სხეულში ამ დილის სისხამს,
გიგონებ, სევ, როგორც ხილულს... ყინულის სითბოს
ცოტაც და კიდეც შეგხები, ხელს გადაგისვამ

ცისფერ სხეულზე — დავიწყებულ ტკივილსაც ჰგავდე,
დასაბამს ჰგავდე, დასასრულმა რადგან დამტოვა,
ყველა პირობის კვლავდარლვევის პირობა დავდე,
ჩემშია ყველა, ყველგან ვცხოვრობ, მაინც მარტო ვარ.

გამოგიგონე ან გიპოვე შემთხვევით, ისევ,
მიყვარდე მინდა, უგრავჯერ ვანც მიღალატა,
ხსოვნა მყიფეა, უხეშია, ხისტი და მქისე,
მე შემიძლია, დაგიჯერო, რომ ის არა ხარ,

ვინც გაიძიარა, ან წვიმაში გაშრობა შეძლო,
ან გამისადა, შეცდომების თოვზე გამფინა,
რომ სუნთქვა მეღრძო, სული მეღრძო,
სიცოცხლე მეღრძო...

ვინც არ ელოდა ამ სიმღერას, ამ წამს, ამ ფინალს.
შემოდგომიდან დაიჩეკა სხეულში ყველა
ჭუპრი და ყველა საზეპირო გამექცა გვერდზე,
უბინაძრებო ნიუარებით სავსე რიყე ვარ
ან კალაპოტი და საკუთარ სიღრმეში ვერ ვძლებ.

ნარსულს ვლილინებ, იმ გარდასულს, ცა რომ მეთხელა
და თუ ოდესმე საკუთარ თავს ისე არ ვყავდე,
უჩემონ მყიფება სიძულვილი შეძლოს ერთხელაც...
ან ზიზღი შეძლოს, არ ახსოდე ან არ უყვარდე.

დრო რომ გავიდეს, გაიპაროს, ან როგორც არის,
ჩემგან და მერე ჩემს გარეთ რომ თვალი დახუჭოს,
გამოვუხურო ერთხელ, თუნდაც, შემთხვევით, კარი —
მესიერებებს, ნარმოსახვებს, ხსოვნის პარკუჭებს...

და როგორც ვცოცხლობ,
როგორც ვფიქრობ და როგორც ვსუნთქავ,
ყველაფერი რომ შეიცვალოს, უცებ და მკეთრად...
აქ თვალებს ვხუჭავ, სუნთქვას ვხუჭავ და დუმილს ვუთქვამ
და დახუჭული სიცოცხლიდან სიგრცეებს ვკვეთავ.

და სივრცის მიღმა — ჩემი გული — მზეების ფერება,
ამ სიტყვებს გირწევს, სინაწლის სიმღერას გირწევს.
და ხმები ჩემი, და სიჩუმე, რომ უნდა მეთქვა,
დრო ვიდრე მოვა, ვიდრე ნამშლის, ვიდრე მომინევს

გაქრობა. ვიდრე ასი თვალით საბრმავე მერქავას,
ვიდრე ცდუნებით ცამ დამაშროს, მიწა ვანქარდეს
სიმღერად დასცდეს სიყვარული ამ გულის მერქანს
და არასოდეს, არასოდეს აღარ დამთავრდეს,

რაც არ მითხრეს ან უკვე თქვეს და ვერ მოვისმინე,
რაც დამანახა დახუჭული თვალების შევბამ...
როგორც ფრესკიდან ჩამოლერილი ცრემლის სისველე,
სულის ფსკერში რომ იღვრება და არასდროს შრება.

რადგან მე შევძლებ, ისევ შევძლებ, თავიდან შევძლებ,
მიტევებიდან, სინათლიდან, სულში ჩახედვას,
და მხოლოდ იმას ვიღილინებ ჭის ფსკერშიც, შენზე
საკუთარ თავში დაბრუნებამ რაც მიმახვედრა...

* * *

ისე თქვი, თითქოს, მამშვიდებდი კიდეც, სიცხიანს,
რომ ამ ამინდში, თუ გაფინე, სულიც გაშრება,
მერე კი თვალი ამარიდე, როგორც იციან,
სარკის წინ მდგარმა, დაბნეულმა, დიდმა ბავშვებმა.



დასაწყისი პირველ გვერდზე

გზას თუ ხეტიალის ჟინს აყოლილი უძღვებად ვვრდნობდი მაშინ თაგვ: ლოცვა, წერა, კაიფი მინდოდა ერთად, ხმაშენეობილად; თითქოს გამომდიოდა. თხევადი კოდეინი, ხსნადი ოპიუმი მქონდა თან, მოვსვამდი ბუთქუნა ბოთლილან ყლუპად და დავბორიალობდი იქაური სივრცის ასათვისებლად, საჩიმოდ მოსარგებად.

შორისახლოს, ქუჩის კუთხეში, ჩაიხანის მსგავსი დაწესებულება ვიპოვე... რა დაწესებულება, ქოხი იდგა მსხვილი ხის ქვეშ და დიდ ქვაბში ადულებდა მოხეული ინდუსი რძან მასალას, მოპიტონ გემოს ჩაის. სამ რუპიად ყიდდა თითო დალევას, ალუმინის ჩამჩით შუშის ჭიქაში ჩამოსხიულს. ბევრჯერ მივაკითხე დროის გასაყვანად.

ტარა, ტრასიდან მოშორებით, სიღრმეებში ჩაკარგული ქუჩები დავიარე, ერთ მყუდრო სკვერში გავმაგრდი. გრძელ ხის სკამზე წამოვნექი, ჩანთა თავქვეშამოვიდე და ვუყურებდი ბალაზზე წრედ ჩამომსხდარ მოხუც ბრახმანებს, რომლებიც საქმის ცოდნით ტენიდნენ და ეწეოდნენ პაშის მოგრძო ყალიონებიდან ან სპილოს ძვლის, ზარბაზნის ლულასავით დიდი დიამეტრის მქონე გასაბოლებლებიდან. რაღაცაზე ბჭობდნენ მშვიდად, ეტყობა, მომავალ მარშრუტებს გეგმავდნენ თავიანთი გზისა თუ კისმეტისა.

ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული კაცი შემოვიდა სკვერში მოპირდაპირე მხრი-დან. ბეჭედზე მოგდებული ტომრისითვის თავის წასნა დააპირა თოკების შესნით, მაგრამ გადაითქირა და მინაზე დააგდო. დინჯი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა, ორთავ ხელის განზე გატყორცნით ბეჭებში გაიშალა, კისრის ტრალით ხერხემლის მალები აატკაცუნა, შემდეგ შედგა ჩაფიქრებული, მინას და ბალას ჩაკირვებული. უცბად გასალცრად გამოეცვალა იერი: სახის კუნთები სასნაულად გადაუსხაფერდა, დარდიანად გასანცყლდა ცალი თვალის გუგის გაქრობით, გათეთრებული თვალის სიბრმავით. ტურები ზიგზაგურად დაეგრისა, მარცხენა წარბი შუბლს ზევით მაღლა-მაღლა აეპრიხა, ხელი გაინვდინა უმწეოდ, წექნებთან იდაყვის მიტანით, ნაბიჯი გადადგა დაგვაჯულად, მოღუნულად, კაიზერ სოზასავით ტერფშეტეხილად. ოციოდე შეტრი გაიარა და უკაყოფილოდ თავგაქნეულმა ახალი ვარიანტი სცადა, განსხვავებული. ბევრი წაირ-წაირი დუბლი შესარულა. მე პირველი უფრო მომენთია. პროფესიონალი მათხოვარი იყო, მათხოვრების კასტიდან.

უამრავი ბასით მიმოგზაურია — უარყოფითი გრადუსის დახრილობის სკამზე ორმოცდარვა საათი მჯდომს, აზიის სოფელ-სოფელ ნამგზავრებს, სადაც საკვებად ხელისგულზე დაფენილ ფოთოლზე მიყრიდნენ უცხარეს ბრინჯას; დასაჯდომი ადგილების უქონლობის გამო, ავტობუსის სახურავზეც მიჩაეჩაქია ადგილობრივებთან ერთად ბარგში ჩაკვეტებულს, მაგრამ ეგეთი ახვარი ვრნებს, როგორიც ეს მანქანა იყო, არ შემხვედრია. თითქოს ურჩეული ჰყავდა გაკრული ძირზე, რომელიც ანყვეტას ლამობდა, ჩი-უბობდა, შეტევაზე გადმოდიოდა რკინა-ფოლადის აპერკოტების დარტყმით ფერდებში, თავში. ვერაგად და თავდადებით იბრძოდა კარდანი ვალზე და საბურავების გამამაგრებელ, ჯვარედინად გადე-

ბულ ძელებზე მიჯაჭვული. მთელი გზა
დაცვრინავდით მგზავრები. ხშირად ისე
თი დარტყმები გამოსდიოდა, რომ რა
კიროვკას ვაკეთებდით და ერთმანეთი
ადგილებზე ვასკდებოდით ჭერს მიხეთქე
ბულები. ერთი მხრა განსხვავებული, ბოლ
რიგებიდან მძღოლთან ახლოს აღმოვჩნ
დი სკამებში გაჩხერილი. აპორიგენებ
(მარტო მე ვიყავი „თეთრი“) სიცილი წასკ
დათ ჩემს ამოგინებაზე და მერე თავადად
მონდომებით იკურთხებოდნენ ჩემებურად
„შენი ბოზი დედა!..“

რეზო თაბუკაძეილი

DEAD END



ლი. წაგესევიან ხელგამონვდილები
ჩამოგეკონიალებიან და ველარ მოიშო
რებ. ამიტომ, ტამეზესთან დამეგობრები
მერე, მხოლოდ მას გაძლევდი ფულს სხვა
ბისთვისაც გასანანილებლად. აღარ „მერ
ჩოდნენ“ ჸავ-ჸავი, გაძუნდგნული ბავშვები
ალყის შემორტყმითა და დამქანცველად
რაიმეს გამოძალვის სურვილით. ტამაზ
სამართლიანად უყოფდა მონაპოვარს. მი
ნახავს, როგორი ყურადღებით, არავით
გამორჩენით ურიგებდა ულუფებად მოხ
უცი ქალისგან ნაყიდ დალ-ბატსან კარტო
ფილის ცხელ-ცხელ ღვეზელებს რიგშ
ჩამნკრივებულებს.

რამდენჯერმე ჩიხში გავყევი ფულზე
სათამაშოდ წასულს. კოჭობანას ტიპი
თამაშია ხურდებით. უმეტესად იგებდა
დეფექტიანი სხეული ებმარტიდა გამარ
ჯვებაში: წელში გადახრილს და ცალ ფეხზე
მდგარს ლამის მინამდე ჩაჰქონდა წვეტი
ანად გამოვარდნილი მკერდი, რაც წონასა
წორობის შენარჩუნებაში და ზუსტად სრო
ლაში უწყობდა ხელს. ერთხელ წააგო. ვხე
დავ — დაზამასკდა. მეთქი — აპა, გააგრ
ძელე — ფული გავუნიდე. არაო — მითხრ
— დღეს არ არის ჩემი თამაში. ფულს გა
მოგართმევ, ხილს ვუყიდი ბაკშვებსო. მერა
ეშმაკურად გამილიმა: — დაგინახე, მოსაწ
ევს ყიდულობდი გვერდით ქეჩაზე. მაგათ
არ ვარგა. თუ გინდა, მე წაგიყვან მისტერ
კეიიდართან და best quality, best price

საუკეთესოს თავის ფასად გაყიდინებო
მთაში ვაპირებდი გასვლას, კარგ ფორმა
ში ვიყავი, ხანდახან ვერთობოდი გაბო
ლებით.

„ნავიდეთ,“ — ვუთხარი და გავყევა
წვრილ-წვრილი ქუჩებით, პატარა ბინძურა
მოედნების გავლით მისტერ კეიდართან
გზადაგზა ნაცნობებს ხვდებოდა: კედლებ
ის ამომტვრეული ხვრელებიდან გამომდ
ვრალებს, სახლებს შორის ჩაკლაანილად
მიდინებულ წმინდა მდინარე ბაგმუტშ
ჩამღვრელ დელეში ზეწრების მრეცხა
ქალებს, მათ ქმრებსა და შვილებს ხმამა
ღალი შეძახილებით ესალმებოდა, მხი
არულ სიტყვას უტოვებდა.

კედლებზე ძალაგამოცლილად ჩამკვდრები. ერთიმეორის მიყოლებით ვადგამდით ნაბიჯს სივინწროვის გამო. ვიღაც ბიჭი გამოგვიხტა მოულოდნელად, გზა გადაგვიღობა. ტამეზეზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და პევრად ჯანიანი. ლაპარაკის ინტონაციაზე მივხვდი, რომ რაღაცას ითხოვდა მისგან, რაღაცის ახევა სურდა, მაგრამ ტამეზემ არ დაუთმო, ჯიუტად და მყარად დაუდგა და უკან დაახევინა. ბიჭი დამარცხებულად გადგა განხე.

კატმანდუს ჯურლმულებში ცხოვრობდა მისტერ კეიდარი. რინის მოჩუქურთმებულ ჭიშკართან შევდექით და მასპინძელს უხმო დაძახებით ტამეზემ. ბევრი ქალი და ბავშვი ირეოდა სუფთა ეზოში. ყველა საკუთარი საქმით იყო გართული. ოჯახის დიასახლისმა, სიმპათიურმა გოგომ გაგვილო კარი. ტამეზეს თბილად მოეფერა თმების აჩეჩით, მეც თავაზიანად დამიკრა თავი და თეთრად გაღებილი კიბისკენ გვანიშნა — მიბრძანდით.

„ე ე ე ძანსოვხარ,“ — ძითხრა ხახბოკუ-
ლე შეთვალიერების შემდეგ.

„ბევრჯერ ვარ აქ ნამყოფი,“ — ვუთხ-
არი. ვერ ვცნობდი.

„კატმანდუში არა, იაკ-კარკაზე შევხ-

ვედრილვართ, — მითხრა. ვერ აღვიდგინ მესიერებაში კეიდარი, მაგრამ ის ადგილი და დღე კი ჩამორჩა ძლიერ მოგონებად. French pass-იდან, ხუთიათასშვიდასიანი უღელტეხილიდან გადმოსულებს, ქარიშხალს გამოქცეულებს, სამშვიდობოს რომ გვეგონა თავი გაღწეული, იაკ-კარკაში მაინც დაგვეწია, არ მოგვეშვა და მწყემსების ნაბინადარზე, კედლის ნანგრევებებს შეყუულებმა, საძილე ტორმების გარეშე გავატარეთ ცივი ღამე ექსპედიციის რამდენიმე წევრრა. კარვები და საძინებლები ჯორებზე გვქონდა ატვირთული, რომლებიც ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ქარბუში დაგვეპარგნენ. მხოლოდ მესამე დღეს შევიკრიბეთ კვლავ სოფელ მარჯაში.

ერთია ამერიკული და მისი გამყოლი შერპა არ გამოჩნდნენ ჩემი იქ ყოფნის დროს. მათზე მერც არაფერა გამიგა, და ახლა დავვეკითხე კეიდარს რამდენიმე წლის წინანდელი ამბას შესახებ.

„გადარჩენენ. ამერიკელმა ფეხი მოიტეხა და სამაშველო რაზმის შექმნა დაგვჭირდა. ორი დღის სავალზე ვიპოვეთ, მარშრუტიდან შორს, გზადაკარგულები და გამოიყიტულები,“ — მიპასუხა კეიდარმა და შავი ყურძნით, მანგოთი და ბანანით საგასე თასი გამომიწოდა, — „გაგვიპრაზდა მაშინ მთა, ალარ უნდოდა ჩვენთან დაშვიდობება,“ — დაამატა და ტამეზეს გახედა, — „ტამეზე არის მთაში გამსვლელი ხასიათის, მაგრამ ჯანი არ უწყობს ხელს,“ — ჩაღიმებით გაპკრა მცეროვან ხელი.

„მე ვიცლი,“ — ჯიუტად თქვა ტამეზებ. „კარან, ვნახოთ,“ — გაიცინა კეიდარ-მა და მოსაწევის ასორტიმენტზე მანძნა კრაფოფილი სახით, — „საუკეთესო ხარისხისაა ყველა, ბრო. მისტერ კეიდარი ტრუხას არ შემოგთავაზებს, როგორც ტამეზზე სჩვევიათ, თან ტამეზეს მოყვანილი ხას... თანაც, შენ გატყობ, არ გახსოვან მარ მა ვიცან.“

სუიცერნი, როგორც პრიტიკოსი

სულ ცოტა სამი დასკვნა მაინც იბადება სუინბერნის კრიტიკული ესეების წაკითხვის შემდეგ: სუინბერნი უმცლავდებოდა თავის მასალას და უფრო ღრმად წვდებოდა ტულორ-სტიუარტთა ეპოქის დრამატურგთა შემოქმედებას, ვიდრე სხვა რომელიმე კაცი სიტყვაკაზმული მწერლობიდან, მანამდე თუ მას შემდეგ; იგი უფრო სანდო მეგზურია იმ ეპოქის დრამატურგთა შორის, ვიდრე ჰენრიტი, კოლრიჯი ან ლემი; და მისი ალქმაც შედარებითი ფასეულობისა თითქმის ყოველთვის მართებულია. ამ საზომებს შევვიძლია ორმაგი უარყოფით შევხვდეთ: სტილი პროზაული სტილია სუინბერნისა, ხოლო შინაარსი კი არ ხაზლავთ კრიტიკა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. სტილის ნაკლოვანებანი, ცალდა, პიროვნულია; ზედსართავთა გრგვინგ-გრიალი, დაუნინგული სისწრავე მოუწესრიგებელი წინადადებებისა მიგვინიშვნებს უწესრიგო გონიერის დაუდგომლობასა და, ალბათ, სიზარმაცეზეც. მაგრამ ამ სტილს ერთი ღირსება აქვს: ის გავაგებინებს, რომ სუინბერნი წერდა არა იმისათვის, რომ კრიტიკოსის რეპუტაცია დაემკვიდრებინა, არა იმისათვის, რომ დამჯერი მსმენელი დაემოძღვრა, არამდე წერდა შენიშვნებს, როგორც პოეტი პოეტებზე, რომლებიც მოსწონდა. და რასაც უნდა ვფიქრობდეთ სუინბერნის ლექსებზე, შენიშვნები პოეტებზე, გამოითქმული სუინბერნის რანგის პოეტის მიერ, გულდასმითა და პატივისცემით უნდა წავიკითხოთ.

იმის თქმით, რომ სუინბერნის ესეებს აქვთ ფასეულობა მნიშვნელოვანი პოეტის ჩანაწერებისა მნიშვნელოვან პოეტთა შესახებ, საზღვარი უნდა დაუდოთ ჩვენს მოლოდინს. იგი კითხულობს ყველაფერს და კითხულობს ერთადერთი გატაცებით, იპოვოს ლიტერატურა. რომანტიკული ხანის კრიტიკოსები პიონერები იყვნენ და აღმოჩენთავის ჩვეული შეცდომებიც მოუვიდათ. ლემის კრებულები წარმატებული მცდელობა კარგი გემოვნებისა, მაგრამ ნებისმიერი, ვისაც მიუმართავს მათვის, მას შემდეგ, რაც ბეჭითად წაიკითხავდა მათში შეტანილ ნებისმიერ პოეტს, აღმოჩენდა, რომ საუკეთესო ადგილები — რაც პირდაპირ თვალებში უნდა შეჩიროდა ლემს — გამოტოვებულია, ხოლო სხვა წარმატება ფასეული კი — აქა-იქ ჩართული. ჰენრიტი, ვინც დაუინებით ამტკიცებდა, „ქალწულის ტრაგედია“ ბომონტისა და ფლეტერის ყველაზე სუსტი პიესაა, ვერას გადმოგვცემს გასაგებად. კოლრიჯის შენიშვნები — ასე ცოტა და ასე გაფანტული — მარადიულ სიმართლეს შეიცავს; მაგრამ რამდენიმე დიად სახელზე არაფერს ამპობს, ზოგიერთ საუკეთესო პიესაზე კი მცირეოდენი ან არა იცის რა. მაგრამ თუ სუინბერნის შევადარებთ, კოლრიჯი გაცილებით უკეთ წერს, როგორც პოეტისაგან უნდა მოველოდეთ, რომ პოეტებზე წერდეს. მესინჯერის ლექსებზე სუინბერნი ამპობს:

„უფრო გამოსადეგია, უფრო საქმიანი, უფრო მჭერეტყველურად პრაქტიკული და უფრო რიტორიკულად მშვიოთვარე — მაგრამ მისი შფორთვა არასიდეს სცილდება შედეგანის ტრიორიკის — ვიდრე სტილი რომელიც გნებავთ შესპირული თუ ჯონ-სონური დრამატურგისა.“

შეუძლებელია მისი თქმა, ვებსტერი თუ მიიჩნევდა მესინჯერის სტილს უფრო, „გამოსადეგად“, ვიდრე თავისივე სტილია, თუნდაც „თეთრი ეშმაკის“ ბოლო მოქმედებაში; მაგრამ სავესპიტი ნათელია, თუ რას გულისხმობს კოლრიჯი, როცა ამბობს, რომ მესინჯერის სტილი „გაცილებით იოლადა აგებული (ვიდრე შექსპირისა) და შესაძლოა უფრო წარმატებული გნებავთ შესპირული და გადასაშვერი დასაბუთება.“

კოლრიჯი წერს როგორც პროფესიონალი, ვინც ტექნიკას აკვირდება. არ ვიცი, კოლრიჯის როგორი ნაწერიდან გამომდინარე ამტკიცებს სუინბერნი, რომ „მესინჯერი ეშირად გადმოგვცემს გადაჭარებულ ვნებას“, მაგრამ სხვაგან იმ ესეიში, საიდანაც სუინბერნის ციტატები მოაქვს, კოლრიჯი საუბრობს „არაბურებრივ ირაციონალურ ვნებაზე“, ეს ფრაზა უფრო დასაშვერია. მთლიანობაში ეს ორი პოეტი შეთანხმებულია მესინჯერის საკითხში; და თუმც კოლრიჯმა მეტი თქვა ხეთ გვერ-

დება, და თქვა უფრო ნათლად, ვიდრე სუინბერნისა ოცდაცხრამეტზე, და სუინბერნის ესეები ყველ მიზეზგარეშე უსარგებლოა, ის უფრო მეტად აღმდერელია, ვიდრე კოლრიჯისა, და აღძვრა კი აროდეს გაგვიცრუებების იმედს. მთელი თავისი აღმატებულობით, მსჯელობით, თუ გამონვლილვით შევისწავლით, ზომიერია და სამართლიანი.

და მანიც მთელი თავისი სამართლიანი

მსჯელობით სუინბერნი შემფასებელია და

არა კრიტიკოსი. მთელ ამ სივრცეში ლიტერატურისა, რასაც იგი გადაწვდენია, აროდი იმისა, რომ ელიზაბეტური ლიტერატურა აზრის ისე, რომ გაუცამტვერო ან ეჭვეშე და უყენენ: ერთი ისა, ლილი უმნიშვნელობაზე როგორც დრამატურგი, მეორე კი ის, შერლი ალბათ არ განიცდიდა ვებსტერის გავლენას. კარდინალი, უჭველია, არაა მალევის დუკას ყალიბში ჩამოსხმული, მაგრამ მინერი იმერის დორლიუკრაგს, მაგრამ მშერივი წერდა არ მიდის.

რამდე და მისი დაღმასვლა შექსპირიდან

მილტონამდე. ან შეეძლო ლიტერატურის

შემნებით შეესწავლა იმ საუკუნის

აზროვნება; შეეძლო დანანერვებინა, გაე-

ანალიზებინა და რაღაც სილრმებდე

ჩავეხედებინებთ გრძნობებსა და ფიქრებში,

რაც გვგონია, რომ ძალი დაგვშორდა.

სხვა თუ არავერი, როივე შემთვევაში

გაგვასარებდა, რომ თუ გამონვლილი

და უყენების კიდეც ის გამოცდილება, რასაც

მგრძნობიარე პოეტური ტალანტი მი-

იდებს. აკაც ემუზერბა და ალბათ იმის გამო,

რომ გუგუნ-გრიალი დგას და არაფერი

იმერის; დორლიუკრაგს, მაგრამ მშერივი წერდა არ მიდის.

რამდე და მისი დაღმასვლა შექსპირიდან

მილტონამდე. ან შეეძლო ლიტერატურის

შემნებით შეესწავლა იმ საუკუნის

აზროვნება; შეეძლო დანანერვებინა, გაე-

ანალიზებინა და რაღაც სილრმებდე

ჩავეხედებინებთ გრძნობებსა და ფიქრებში,

რაც გვგონია, რომ ძალი დაგვშორდა.

სხვა თუ არავერი, როივე შემთვევაში

გაგვასარებდა, რომ თუ გამონვლილი

და უყენების კიდეც ის გამოცდილება, რასაც

მგრძნობიარე პოეტური ტალანტი მი-

იდებს. აკაც ემუზერბა და ალბათ იმის გამო,

რომ გუგუნ-გრიალი დგას და არაფერი

იმერის; დორლიუკრაგს, მაგრამ მშერივი წერდა არ მიდის.

რამდე და მისი დაღმასვლა შექსპირიდან

მილტონამდე. ან შეეძლო ლიტერატურის

შემნებით შეესწავლა იმ საუკუნის

აზროვნება; შეეძლო დანანერვებინა, გაე-

ანალიზებინა და რაღაც სილრმებდე

ჩავეხედებინებთ გრძნობებსა და ფიქრებში,

რაც გვგონია, რომ ძალი დაგვშორდა.

სხვა თუ არავერი, როივე შემთვევაში

გაგვასარებდა, რომ თუ გამონვლილი

და უყენების კიდეც ის გამოცდილება, რასაც

მგრძნობიარე პოეტური ტალანტი მი-

იდებს. აკაც ემუზერბა და ალბათ იმის გამო,

რომ გუგუნ-გრიალი დგას და არაფერი

იმერის; დორლიუკრაგს, მაგრამ მშერივი წერდა არ მიდის.

რამდე და მისი დაღმასვლა შექსპირიდან

მილტონამდე. ან შეეძლო ლიტერატურის

შემნებით შეესწავლა იმ საუკუნის

აზროვნება; შეეძლო დანანერვებინა, გაე-

ანალიზებინა და რაღაც სილრმებდე

ჩავეხედებინებთ გრძნობებსა და ფიქრებში,

რაც გვგო

ყველა შეგნებული ადამიანი მიხვდება, რომ ეს ამბავი არ შეიძლებოდა, მომხდარიყო არც ჩვენში, არც საფრანგეთში და არც გერმანიაში, რადგან ამ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მოსამართლეები მოვალენი არიან, დამნაშავენი გაასამართლონ და დასაჯონ კანონის სრული დაცვით და არა საკუთარი სინდისის ან შეხედულების მიხედვით. და რადგან ამ ისტორიაში მთავარ როლს ასრულებს მოსამართლე, რომელსაც გადაწყვეტილება გამოაქვს არა კანონებიდან, არამედ ჯანსაღი აზრიდან, მაში ნათელია, რომ ეს მოხდა ინგლისში, და კერძოდ, ლონდონში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კენსინგტონში, ანდა არა, მოთონებით, მონი, ბრომპტონში და შესაძლოა შეისულოტრშიც. ერთი სიტყვით, სადაც იქ. მოსამართლე, რომელზეც ლაპარაკია, იყო სამართლის მაგისტრი მისტერ კელი, ხოლო ქალს ერქვა უბრალოდ მეიერსი — მისის ედიტ მეიერსი.

გაცნობებთ, რომ ამ პატივსაცემა ქალბატონმა მიიქცია პოლიციის კომისიის მაკლირის ყურადღება.

— ქვერფასო, — უთხრა ერთ საღამოს მაკლირიმ თავის მეუღლეს, — პირდაპირ გონებიდან არ ამომდის ეს მისის მეიერსი. ძალიან მინდა, ვიცოდ, რით ცხოვრობს. აბა, იფიქრე: ახლა, თებერვალში იგი მზარეულს სატაცურისთვის აგზავნის! გარდა ამისა, გამოვარკვიე, რომ მასთან დღეში თორმეტი ქალი მაინც დადის — დაწყებული მედუქნით და დამთავრებული ჰერცოგინიათი. ვიცი, ძვირფასო, მეტყვი, რომ ის ალბათ მეითხვია. მაგრამ მაშინ რა ვქანათ, თუ ეს მხოლოდ შირმაა, მაგალითად, ჯაშუშობის ან მაჭანკლობისათვის?

ნეტავ კი ამ საქმისა რამე გამეგო.

— კარგი, ბოს, — უთხრა მისის მაკლირიმ, — ეს საქმე მე მონადე.

და მეორე დღეს მისის მაკლირიმ, რასაკვირველია, ქორწინების ბეჭდის გარეშე, ფრივოლურად ჩატარებულმა და იმ გასათხოვარი ქალისვილივეთ თმადახვეულმა, რომელმაც დროა, თავის ბეჭდე იზრუნოს, დარეკა მისის მეიერსის კარზე და შევიდა თუ არა, შეშინებული სახე მიიღო. ცოტა ხანს მოცდა მოუხდა, სანამ მისის მეიერსი მიიღებდა.

— დაბრძანდი, შვილო, — უთხრა მას ხნიერმა ქალბატონმა და ყურადღებით შეათვალიერა დარცხვენილი სტუმარი, — რით შემიძლია გემსახუროთ?

— მე... მე... — ენაბორძიკით ჩაილაპარაკა მისის მაკლირიმ, — მე მინდოდა... ხვალ ოცი წელი მისრულდება... ძალიან მინდა, გავიგო, რა მელის.

— აპ, მის... უკაცრავად, თქვენი სახელი? — დაინტერესდა მისის მეიერსი, აიღო ბანქოს შეკვრა და დაინყო კარტების ენერგიულად არევა.

— ჯონსი... — დაიჩურჩულა მისის მაკლირიმ.

— ძვირფასო მის ჯონს, — განაგრძო მისის მეიერსმა, — თქვენ შეცდით, მე მკითხავი არ ვარ. ისე, ხანდახან ხდება, რომ როგორც ყველა დედაბერი, კარტს გაუშლი ხოლმე ვინძოს ხანცობს... კარტი მარცხენა ხელით აიღოთ და ხელ ნაწილად დააღალეთ. ასე ხანდახან გასართობად ვშლი კარტს, მაგრამ საერთოდ... აპა, — წამოიყირა მან, გადააბრუნა რა კარტის ბირეველი ნაწილი, — აგური, ეს ფულია. და გულის ვალეტი. შესანიშნავი კარტია!

— აპ! — თქვა მისის მაკლირიმ, — და შემდეგ რა არის?

— აგურის ვალეტი, — განუცხადა მისის მეიერსმა, გახსნა რა კარტის მეორე ნაწილი, — ყვავის ათანი, ეს გზაა. და აა, ჯვრები. ჯვრები მუდამ უსიამოვნებას, დარტყმას ნიშნავს, მაგრამ ბოლომ გულის ქალია.

— ეს რას ნიშნავს? — ჰერთხა მისის მაკლირიმ და თვალები შეაჭყიტა.

— ისევ აგური, — გახსნა მისის მეიერსმა კარტის მესამე ნაწილიც, — შვილო ჩემო, თქვენ სიმღიდორე გელით და თანაც გელით შერი გზაა. ჯვრები, კარგად ბრძანდებოდეთ, საყვარელი მის ჯონს!.. შემდეგი!

— ეს საქმე რადაც არ მომზონს, — თქვა მისტერ მაკლირიმ, თან ჩაფიქრებული



კარელ ჩაპეკი

ეპულეაზი

გაღმა? — დაინტერესდა მოსამართლე.

— იმიტომ, რომ კარტის მეორე ნაწილში იყო ყვავის ათანი. მისის მეიერსმა თქვა, რომ ეს გზაა.

— სისულელე! — გამოსცრა მოსამართლემ, — ყვავის ათანი იმედია. გზას ნიშნავს ყვავის ვალეტი და თუ მის ვერდით არის აგურის შეიდიანი — ეს ნიშნავს შორ გზას ფულის ინტერესით. მე ვერ მომატყუებთ, მისის მეიერს. თქვენ მონმეს უმკითხავეთ, რომ წელინადიც არ გაივლის და მდიდარ ახალგაზრდა კაცზე გათხოვდება, ის კი უკვე სამი წელია, გათხოვილია სანიშულში პოლიციის კომისარ მაკლირიშე. რით ახსნით ასეთ შეუსაბამისადას?

— ღმერთი ჩემო, — უშფლოთველად უბაზუსა მოხუცმა ქალბატონმა, — აცდენის გარეშე ვერ გადარჩები. ეს პირველება მოვიდა ჩემთან, როგორც ერთი ვინმე პრანტია, მაგრამ მარცხენა ხელთამანი გახელული ჰქონდა, ესე იგი, საფულე სავსე არა აქვს, მაგრამ ცდილობს, თვალი აგიხვის. თქვა, რომ ოცი წლისაა, მაგრამ ოცდახუთისაა.

— ოცდაოთხის! — შეცყვირა მისის მაკლირიმ.

— ეს ერთი და იგივეა. ჩანდა, რომ გათხოვება უნდოდა: თავი ქალბატონად მოპერნდა. ამიტომ ვუმკითხავე გათხოვება და მდიდარი საქმრო, ჩავთვალე, რომ ეს მისთვის ყველაზე უპრინანია.

— და რა შუაშია სიძნელეები, ხნიერი მეფე და ოკეანის გაღმა მოგზაურობა?

— შთაბეჭდილების სისრულისათვის, — გულადხილად აღიარა მისის მეიერსმა, — ერთი გინეისათვის ბევრი უნდა ილაქლაქი.

— საკმარისია, — თქვა მოსამართლემ, — მისის მეიერს, ასეთი მკითხაობა სხვა არაფერია, თუ არა თალღითობა. რომ იბრიოთხავა, უნდა შეგეძლოს. ამ საქმეში არ გარდა ამისა, მისი გვარი არის არა მეიერის სახეა და მეორედ ერთი სახეა. თქვენ მოგეხსაჯობათი ფუნტი ჯარიმა იმ კანონის საფულცველზე, რომელიც ეხება პროდუქტების ფალსიფიკაციას და ყალბი საქმლის გაყიდვის. გარდა ამისა, თქვენ ჯაშუშობაში ხართ ეჭვმიტანილი, რასაც ალბათ არ აღიარებთ?

— ღმერთია მონმე!.. — წამოიყირა მისის მეიერსმა, მაგრამ მოსამართლემ შეაწყვეტინა:

— კმარა ლაპარაკი. რადგან უცხოელი ბრძანდებით და თქვენი საქმიანობა გაურკვეველია, პოლიტიკური ზედამხედველობის გადალგაზრდა და აქედან შორს წახალოთ, ზღვის გადალმა... ძალიან, ძალიან მდიდარი კაცი — მილიონერი ან კომერსანტი, რადგან ის ბევრს მოგზაურობს. მაგრამ მიმისათვის, რომ მასთან ერთად მეითხავმა, — ძვირფასო მის ჯონს, თქვენ არ გაივლიათ გადალგაზრდა და თქვენი კარტები, რაც კი მინახავს. წელიც არ გაივლია და თქვენ გათხოვდებით. ცოლად მოგიყვანათ ახალგაზრდა და ძალიან, ძალიან მდიდარი კაცი — მილიონერი ან კომერსანტი, რადგან ის ბევრს მოგზაურობს. მაგრამ მიმისათვის, რა მკითხაობა აგიტადა?

— აპ, სერ, — უკასუხა მოხუცმა ქალბატონმა, — რალაცით ხომ უნდა ვიარესებო. ჩემს ასაკში ვარიეტეში ხომ ვერ ვიცე-კვებე.

— პმ, — განუცხადა მოსამართლემ, — მაგრამ მეითხავმა, — თქვენ გადანაშაულები და მკითხაობათ. ძვირფასო მისის მეიერს, — უთხრა მისის მეიერს, — უთხრა მისის მეიერს, — რა მკითხაობა აგიტადა?

— კმარა ასაკში ვარიეტეში გადანაშაულები და თქვენი საქმიანობა გაურკვეველია, პოლიტიკური ზედამხედველობის ორგანოები გაგადევები ქვეყნიდან, კარგად ბრძანდებოდეთ, მისის მეიერს. გმაღლობთ, მისის მაკლირი! და ნუ დაგავიწყდებათ, მისის მეიერს, რომ ასეთი მკითხაობა უსინდისობა და ცინიზმია.

— რა უბედურებაა, — ამიობრა მოხუცმა ქალბატონმა, — მე კი სწორედ ახლა გამინდა კლიენტურა...

ერთი წლის შემდეგ მოსამართლე კელი და მაკლირი ერთობანებს შეხვდნენ.

— რა კარგი ამინდია, — მიესალმა მოსამართლე, — მართლა, როგორ არის მისის მეიერი?

— მაკლირიმ შუბლი შეიჭმუხნა.

— იცით რა, მისტერ კელი, — დამილორცხვა მან, — მისის მაკლირი... ერთი სიტყვით, ჩემ გავცილდით.

— რა ამბობთ! — გაოცდა მოსამართლე, — ასეთი ლაპარაკი ახალგაზრდა ქალი!

— საქმეც ესაა, — ჩაბურდულუნა მაკლირიმ, — იგი უცხოად ერთ ახალგაზრდა უსაქმურს შეუყვარდა... ვილაც მილიონერს თუ კომერსანტს მელაზურიდ